



შუახევის მუნიციპალიტეტი

ჭვანა-ბარათაულის მიმართულებით გზის
რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვის
ელექტრონული ტენდერის

სატენდერო დოკუმენტაცია

(CPV: 45200000-მთლიანი ან ნაწილობრივი
სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო
მშენებლობის სამუშაოები)

დაბა შუახევი, თამარ მეფის ქ. №30

2016 წ

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების შესაბამისად.

1.2 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისას უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.5 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

2.1 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური მახასიათებლები:

2.1.1 სამშენებლო ობიექტის სავარაუდო ღირებულება, პროექტის აღწერილობა:

სამუშაოების სავარაუდო ღირებულება შეადგენს **50 000** ლარს.

შესყიდვის ობიექტია: **ჭვანა-ბარათაულის მიმართულებით გზის რეაბილიტაცია**

2.2 სამუშაოების ჩატარების ტექნიკური პირობები:

2.2.1 სამუშაოების შესრულების პროცესში ყველა გამოყენებული მასალა და მოწყობილობა უნდა იყოს მაღალი ხარისხის და შეესაბამებოდეს ამ სფეროში აღიარებულ სტანდარტებს. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს შესაბამისი სერტიფიკატები სამუშაოების შესრულების პროცესში გამოყენებულ მასალებსა და მოწყობილობებზე (მათი არსებობის შემთხვევაში). შემსყიდველს უფლება აქვს, დამატებით, ნებისმიერ დროს მოითხოვოს შესაბამისი სერტიფიკატი;

2.2.2 სამუშაოების შესრულების პროცესში გამოყენებული მასალებისა და მოწყობილობების ტიპი და ვიზუალურ-ტექნიკური მახასიათებლები (ხარისხი, ფაქტურა, ფერი და სხვა) თანხმდება შემსყიდველთან. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მასალა ან მოწყობილობა ან შესრულებული სამუშაო არ შეესაბამება აღიარებულ სტანდარტებს და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს, მიმწოდებელი ვალდებულია თავისი ხარჯებით გამოასწოროს, წარმოადგინოს სხვა, შემსყიდველისთვის მისაღები მასალა, მოწყობილობა ან/და სხვაგვარად შეასრულოს სამუშაო;

2.2.3 მუშაობის პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს მოქმედი სამშენებლო ნორმების მიხედვით;

2.2.4 სამუშაოების სრული ჩამონათვალი და მოცულობა იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციის **დანართი N2-ის სახით**.

2.2.5 სატენდერო წინადადების ფასის გაანგარიშებისას პრეტენდენტმა ასევე უნდა გაითვალისწინოს მშენებლობის მიმდინარეობის სეზონურობა და წინასწარ გათვალისწინებული დახარჯი, რაც გამოწვეული იქნება სამშენებლო სამუშაოების ნაღველიან პერიოდში წარმოებასთან.

2.2.6 ვაჭრობის დამატებითი რაუნდების შედეგად ფასის ცვლილების შემთხვევაში, შემოთავაზებული მასალის შეცვლა სხვა, უფრო დაბალი ხარისხის ანალოგიური საქონლით დაუშვებელია.

2. 2. 7 იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისაგან ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, შესაძლებელია დასაბუთდეს ექსპერტიზის დასკვნით, შესყიდვის ობიექტისმი წოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით, ანგარიშფაქტურით (ინვოისით) ან/და სხვა ისეთი დოკუმენტაციით, რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას.

2.2.8 პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის იმ ნაწილში სადაც მოცემული იქნება შესასყიდი მასალებისა და მოწყობილობის სასაქონლო ნიშანი, მოდელი, წარმოშობის წყარო ან მწარმოებელი, იგულისხმება „მსგავსი“ ან „ეკვივალენტური“.

2.3 სამუშაოს მიწოდების ვადები და პირობები

2.3.1 სამუშაოების წარმოება უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის მიერ სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით განსაზღვრულ ვადაში, რომელიც უნდა დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან **არაუმეტეს 5 კალენდარული დღის ვადაში და დაასრულოს 45 (ორმოცდახუთი) დღეში**.

ბ) სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში, შემსყიდველის მხრიდან ტექნიკურ ზედამხედველსა და მიმწოდებელს შორის შესაძლებელია დაზუსტდეს სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი. სამუშაოების გეგმა-გრაფიკში შესული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულებაში დამატებით ცვლილებას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების ვადები გამოიწვევს ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების დასრულების ვადის ცვლილებას.

3. პრეტენდენტმა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში უნდა უზრუნველყოს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული შემდეგი დოკუმენტების ატვირთვა

3.1 რეკვიზიტები დანართი №1-ის მიხედვით;

3.2. შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა დანართი 4- ის შესაბამისად

3.3 შესასრულებელი სამუშაოების გეგმა-გრაფიკი-დანართი 5

3.4 ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ:

ა) ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს 2013 წლის 01 იანვრიდან 2015 წლის 01 ივლისის ჩათვლით შესრულებული უნდა ჰქონდეს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების ანალოგიური სამშენებლო სამუშაოები საერთო ღირებულებით არანაკლებ 15 000 ლარის ოდენობით;

ბ) ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას დანართი #3-ის შესაბამისად.

გ) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (ხელშეკრულების ასლ(ებ)ი ხარჯთაღრიცხვ(ებ)ით, სამუშაოს შესრულების მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის ასლები, შესრულებული სამუშაოს ფორმა #2. ფორმა N2-ის ნაცვლად შესაძლებელია წარმოდგენილ იქნას სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი (გადახდის სერთიფიკატი, ანგარიშფაქტურა)).

შენიშვნა: დოკუმენტებისა და ინფორმაციის ჩამონათვალი პრეტენდენტმა უნდა ატვირთოს ელექტრონულ სისტემაში ფასთან ერთად, პრეტენდენტის უფლებამოსილი პირის ხელწერითა და ბეჭდით დადასტურებული.

4. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

5. ხელშეკრულების აუცილებელი პირობები:

5.1 ანგარიშსწორების პირობა:

5.1.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე გადარიცხვით, ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.

5.1.2 ანგარიშსწორება შესაძლებელია მოხდეს ეტაპობრივად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს შესაბამისად რომელიც უნდა შეადგენდეს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების არანაკლებ 20%-ს.

5.1.3 მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშსწორებისას წარმოადგინოს:

ა) ეტაპობრივი ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება კონკრეტული ეტაპების მიხედვით ხელშეკრულების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის, ფორმა №2, ფორმა №3 და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

ბ) საბოლოო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენის შემდგომ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5.1.4 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

5.1.5 თუ შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული შესასრულებელი სამუშაოების მოცულობების ღირებულებამ არ შეადგინა გამარჯვებულ ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი გადაუხდის მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების ღირებულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს აუთვისებელ სამუშაოთა მოცულობების ანაზღაურებაზე.

5.2 გაწეულ სამუშაოებზე საგარანტიო ვადა - არანაკლებ 5 (ხუთი) წელი სამუშაოების დასრულების დღიდან.

5.3. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

5.3.1 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

5.3.2 ფორს-მაჟორული სიტუაციების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა და/ან დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო და სხვა სანქციები.

5.3.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში (მ. შ. გეგმა-გრაფიკის დარღვევა), ასევე, სამუშაოების ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში არ დაწყებისას, ყოველ დაგვიანებულ დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება

პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,3 %-ის ოდენობით;

5.3.4. იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ფასის 3% პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

5.3.5. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

5.3.6 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით;

5.3.7. შემსყიდველის მხრიდან ცალმხვრივად ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დაჩქარებული წესით უზრუნველყოს ობიექტზე ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ღირებულების დადგენა სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის წერილობითი მიმართვიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში დაფაროს ზემოაღნიშნული საექსპერტო დასკვნის სახელშეკრულებო ღირებულება.

5.4 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი:

5.4.1. შესყიდვი ობიექტის მიღება-ჩაბარება ხდება შესრულებული სამუშაოების ფორმა №2-ის წარმოდგენის შემდეგ.

5.4.2. სამშენებლო სამუშაოები ან მისი ნაწილის, ეტაპის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6. დამატებითი ინფორმაცია:

6.1 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ:

ა) ხელშეკრულების საბოლოო ვარიანტი დაზუსტდება ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში, გარდა სატენდერო დოკუმენტაციის მე-6 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნებისა.

ბ) სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სისტემის მოდულის – „კითხვა/პასუხის“ მეშვეობით, ან/და წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. დაბა შუახევი, თამარ მეფის N30, შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა. საკონტაქტო პირი-სატენდერო კომისიის აპარატის წევრი: რომან მიქელაძე +995 99 85 20 51

7. სამუშაო ადგილის მომზადება, გარემოს დაცვა მიმწოდებელი პასუხისმგებელია:

ა) შეასრულოს სამუშაოები შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვით.

ბ) უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა;

გ) უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში მდებარე ხეების და მცენარეების სიცოცხლისუნარიანობა;

დ) მინიმუმამდე დაიყვანოს სამუშაოებთან დაკავშირებული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენა გარემოზე;

ე) ყველა სახის მოსამზადებელი სამუშაოების დაწყება შეთანხმებული უნდა იყოს შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა კეთილმოწყობის სამსახურთან;

ვ) სამუშაოების დასრულების შემდეგ შემსრულებელი თავისი ძალებით და სახსრებით 10 დღის განმავლობაში ვალდებულია გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-ნაგებობებისაგან და ა.შ.;

დანადგარებისაგან, მასალებისაგან, დროებითი

1. რეკვიზიტები:

- პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება
- საიდენტიფიკაციო კოდი/ნომერი
- პრეტენდენტის იურიდიული და ფაქტიური მისამართი:
- ხელმძღვანელის სახელი, გვარი
- პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:
- ელექტრონული მისამართი, E-mail:
- ბანკის დასახელება
- ბანკის კოდი
- ანგარიშსწორების ანგარიში

პრეტენდენტის ხელმოწერა _____ ბ.ა.

დამკვეთი:

ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვა № 1

ჭვანა-ზარათაულის მიმართულებით გზის რეაბილიტაცია

№	სამუშაოს დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	
			განზომილების ერთეულზე	საპროექტო მონაცემებზე
1	IV კატეგორიის გრუნტის დამუშავება ბულდოზერით მისი შემდგომი გადაადგილებით 60 მეტრ მანძილზე გზაზე დახრეშვით	1000 კუბ/მ.		0.080
1.1	ბულდოზერი	კაც/სთ	90.04	7.20
2	კლდოვანი გრუნტის დაშლა სანგრევი ბულდოზერით (კოდალით-ტრანსპორტირების ჩათვლით)	კუბ.მ.		65
	შრომითი დანახარჯი	კაც/სთ	0.5	32.50
	სანგრევი მანქანა (კოდალა)	მან/სთ	0.63	40.95
3	ქვაბულის დამუშავება III ჯგ. ხრემოვანი გრუნტის დამუშავება ექსკავატორით v-05 კუბმ	1000 კუბ/მ		0.0074
1.3	შრომის დანახარჯები	კაც/სთ	20.00	0.15
1.4	ექსკავატორით V-0,5კუბმ	მ-ს	44.8	0.33
1.5	სხვა მასალა	ლარი	2.4	0.02
4	გრუნტის დამუშავება ხელით	კუბ/მ		10.25
1.7	შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	2.369	24.28
5	მონოლითური რკ/ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობა კლასით B20 (26X1X0.4)+(6X3,0X0,5)	100 კუბ/მ		0.1892

2.1	შრომითი დანახარჯი	კაც/სთ	652.1	123.37
2.2	მანქანები	ლარი	115	21.76
2.3	ბეტონი კლასით ბ20	კუბმ	101.5	19.20
	ფარი ყალიბის	კვმ	118	22.33
	სხვადასხვა ხარისხის დახერხილი ხის მასალა	კუბმ	2.74	0.50
	არმატურა $\phi 16A-III$ ბიჯი 50სმ	ტონა		0.16952
	არმატურა $\phi 18A-III$ ბიჯი 50სმ	ტონა		0.1361
	მავთული	კვ		8
	ჭანჭიკი სამშენებლო	ტონა	0.14	0.026488
	ლითონის მილი დ=80მმ სისქე 4მმ	მ		15.6
	ელექტროდი	ტონა	0.08	0.015136
	სხვადასხვა მასალები	ლარი	0.46	0.09
6	ლითონის მილი დ150 მმ მონტაჟი	მ		33
	შრომითი დანახარჯი	კაც/სთ	1.17	38.61
	სხვა მანქანები	ლარი	1.15	37.95
	ლითონის მილი დ=150მმ სისქე 4,5მმ	გრძ/მ	1	33
7	ტერიტორიის წამოწევა ბალასტიტ,საშუალო სისქით 20სმ და დატკეპნა(370X3,0X0,2)	კვმ		222.0
	შრომითი დანახარჯები	კ/სთ	2.63	583.86
	ბალასტი	კუბმ	1.24	275.28
	სხვადასხვა მასალები	ლარი	0.02	0.66
8	ბეტონის ფილის დასხმა კლასით ბ15. (250X3,0X0,15)	კუბმ		112.5
	შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	3.34	376
	ბეტონი	ლარი	1.02	115
	სხვადასხვა მასალები	ლარი	0.898	101
	სამშენებლო რესურსების მიხედვით პირდაპირი დანახარჯების ჯამი	ლარი		

	ზედნადები ხარჯები	10%		
	ჯამი	ლარი		
	მოგება	8%		
	სულ	ლარი		

დანართი 3

პრეტენდენტის დასახელება-----

N	სამუშაოს დასახელება	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება	შესრულებული სამუშაოს ღირებულება
1				
2				
..	ჯამი 2013 წ			
1				
2				
..	ჯამი 2014 წ			
1				
2				
..	ჯამი 2015წ			
1				
2				
	ჯამი 2016წ(1 ივლისამდე)			

პრეტენდენტის ხელმოწერა----- ბ.ა